26/11/2021

რუმინეთის პატრიარქი სამწყსოს – თქვენი სულიერი მამა აცრილია, ახლა თქვენი რიგია!

კორონავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინით აიცრა უნეტარესი სრულიად რუმინეთის პატრიარქი დანიელი.

რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის დადგენილება სრულ თანხვედრაშია მედიცინის მუშაკთა შემოთავაზებასთან, რომლის მიხედვით კოვიდთან ბრძოლის ერთადერთ გზას წარმოადგენს ვაქცინაცია და რეგულაციების დაცვა.

სრულიად რუმინეთის პატრიარქი დანიელი კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინის ორივე დოზით აიცრა, რაზეც რამდენიმე დღის წინ ჟურნალისტებთან განაცხადა და რუმინეთის მთელ მოსახლეობას აცრისკენ მოუწოდა.

wenews.ge